აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №7

2017 წლის 4 აპრილი

ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულება, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს არაუმეტეს 100 (ასი) საშტატო ერთეულით.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 1 მაისის №44 დადგენილება (გაზეთი „აჭარა“, №71 (22.815), 08.05.07, გვ. 5-6).

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 10 აპრილიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **ზურაბ პატარაძე**

დანართი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება.
2. სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

3. სამინისტრო ანგარიშვალდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ ამოცანებს.

4. სამინისტროს აქვს დებულება, დასრულებული ბალანსი, ანგარიში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხაზინაში, ხარჯთაღრიცხვა, ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით, თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

5. სამინისტრო ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისათვის.

6. სამინისტროს კომპეტენცია დგინდება კანონით და/ან კანონის საფუძველზე გამოცემული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით. სამ-ინისტროს უფლება არა აქვს გადასცეს სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებებს უფლებები და მოვალეობები, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. უფლებამოსილების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და სხვა სუბიექტებისათვის.

8. სამინისტროს იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, აკადემიკოს მამია კომახიძის ქ. N119.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.

მუხლი 2. სამინისტროს საქმიანობის სფერო, ამოცანები და ფუნქციები

სამინისტროს ძირითად ამოცანებს და ფუნქციებს წარმოადგენს:

ა) კომპეტენციის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება;

ბ) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტის, საჭიროების შემთხვევაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონში ცვლილების თაობაზე კანონის პროექტის მომზადება და განსახილველად წარდგენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის კოორდინაცია;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობის, მართვისა და განკარგვის უზრუნველყოფა;

ვ) რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, რეგიონში ინვესტიციების, გრანტების მოზიდვის და საერთაშორისო დახმარებების მიღების მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავება და განხორციელება, რეგიონის სტრატეგიული და სივრცით-ურბანული განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, ტურისტული და საკურორტო რესურსების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და სამელიორაციო სისტემების განვითარების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და მათი რეალიზაციის ხელშეწყობა;

ზ) ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო საქმიანობის პოლიტიკის განხორციელება, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების დოკუმენტების შემუშავების პროცესის წარმართვა, სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოცემა, კანონმდებლობის შესაბამისად მშენებლობის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღება, სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის გაცემა, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის სფეროში კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება;

თ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.

მუხლი 3. სამინისტროს კომპეტენცია

დაკისრებულ ამოცანათა შესასრულებლად სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:

ა) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონმ-დებლობის საფუძველზე შეიმუშაოს და გამოსცეს ნორმატიული და ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივი აქტები;

ბ) მოამზადოს დასკვნები და შენიშვნები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონპროექტებზე, მთავრობის დადგენილებებსა და სხვა დოკუმენტებზე;

გ) შეიმუშაოს და მთავრობას წარუდგინოს საკითხები საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკის, სივრცითი მოწყობის და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ;

დ) ცალკეულ საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით შექმნას სათათბირო ორგანოები - კომისიები და საბჭოები;

ე) კოორდინაცია და კონტროლი გაუწიოს სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების საქმიანობას, მოამზადოს წინადადებები მათი შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;

ვ) აწარმოოს მოლაპარაკებები და კანონმდებლობის შესაბამისად დადოს ხელშეკრულებები საქართველოსა და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ზ) წარმართოს საკადრო პოლიტიკა, შექმნას კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა;

თ) კანონით დადგენილი წესით მოითხოვოს საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია სახელმწიფო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან;

ი) განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები, საჩივრები, წინადადებები და დროულად გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები;

კ) გამართოს თათბირები, სემინარები და კონფერენციები თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ლ) გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ სასამართლოში;

მ) განახორციელოს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 4. სამინისტროს ხელმძღვანელობა

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც ერთმმართველობის პრინციპზე დაყრდნობით, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს სამინისტროს აპარატისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა დაწესებულებების მართვასა და კოორდინაციას.

2. მინისტრს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

3. მინისტრი:

ა) წარმართავს სამინისტროს საქმიანობას, იღებს გადაწყვეტილებებს სამინისტროს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მასზე

დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე;

გ) ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების საქმიანობაზე;

დ) კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მოადგილეს, სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მოადგილეს, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და სამინისტროს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ სხვა საჯარო მოსამსახურეებს, დებს ადმინისტრაციულ და შრომით ხელშეკრულებებს, დასანიშნად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის და საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილის, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას – სამინისტროსა და სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის კანდიდატურებს;

ე) ითანხმებს სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებისა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საშტატო ნუსხას;

ვ) ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებსა და სტრუქტურას, ხოლო სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების დებულებასა და სტრუქტურას, სამინისტროსა და სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის დებულებასა და სტრუქტურას დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;

ზ) უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

თ) წარმოადგენს სამინისტროს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ი) მონაწილეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომების მუშაობაში;

კ) ამტკიცებს სამინისტროს შინაგანაწესს;

ლ) კანონით დადგენილი წესით ადგენს საკონკურსო და საატესტაციო მოთხოვნებს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეებისადმი;

მ) კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ნ) ანაწილებს ფუნქციებს მოადგილეებსა და სხვა თანამდებობის პირებს შორის;

ო) წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს;

პ) ასრულებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. მინისტრს ჰყავს 3 მოადგილე, მათ შორის, ერთი პირველი მოადგილე, რომლებსაც მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

4. მინისტრის მოადგილე კოორდინაციას უწევს სამინისტროს ცალკეული სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის საქმიანობას, ასრულებს მინისტრის ცალკეულ მითითებებსა და დავალებებს.

5. მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებები განისაზღვრება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.

6. მინისტრის არყოფნისას, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან მინისტრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მინისტრის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე, ხოლო მინისტრის პირველი მოად-გილის არყოფნისას, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან მინისტრის პირველი მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მინისტრის მოვალეობას ასრულებს მინისტრის მიერ წინასწარ განსაზღვრული მისი ერთ-ერთი მოადგილე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.

მუხლი 5. სამინისტროს სისტემა
1. სამინისტროს სისტემას შეადგენს:
ა) სამინისტროს აპარატი;

ბ) სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებები;

გ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

მუხლი 6. სამინისტროს აპარატის სტრუქტურული ერთეულები
1. სამინისტროს აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:
ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

ბ) საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტი;

გ) სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სახელშეკრულებო მონიტორინგის დეპარტამენტი;

დ) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;

ე) საბიუჯეტო დეპარტამენტი;

ვ) ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტი;

ზ) საინვესტიციო დეპარტამენტი;

თ) საწარმოთა მართვისა და ქონების პრივატიზების დეპარტამენტი;

ი) სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტი.

2. სამინისტროს აპარატის სტრუქტურული ერთეულის კომპეტენცია და სტრუქტურა განისაზღვრება ამ დებულებით, ასევე სტრუქტურული ერთეულის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 27.02.2023წ.

მუხლი 7. სამინისტროს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ამოცანები და ფუნქციები
1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:
ა) სამინისტროს აპარატის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობა;

ბ) სამინისტროს აპარატში საქმისწარმოების ორგანიზება;

გ) სამინისტროს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და სამინისტროს მოსამსახურეებისათვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა;

დ) სამინისტროში ადამიანური რესურსების მართვა;

ე) საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა;

ე[1]) სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ვ) სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ოფიციალური შეტყობინებების, განცხადებებისა და სხვა საინფორმაციო მასალების მომზადება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საზოგადოების ინფორმირება;

ზ) ოფიციალური დელეგაციების, სამუშაო შეხვედრების, ოფიციალური და სამუშაო ვიზიტების ორგანიზება და საპროტოკოლო ღონისძიებების გატარება. მოქალაქეთა მიღების კოორდინაცია და ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

თ) მინისტრის ცალკეული დავალებების, ასევე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

2. საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საფინანსო-ეკონომიკური და საბუღალტრო საქმიანობის წარმოება;

ბ) სამინისტროს აპარატის ბიუჯეტის პროექტის, საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილების შემუშავება, დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალური განაწილება და ბიუჯეტის ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება სამინისტროს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად და საბიუჯეტო დეპარტამენტისათვის წარდგენა;

გ) სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების (საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსების შემთხვევაში) ბიუჯეტის პროექტის, საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილების შემუშავება და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადების კოორდინაცია;

დ) საბუღალტრო აღრიცხვის სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) მინისტრის ცალკეული დავალებების, ასევე, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

3. სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სახელშეკრულებო მონიტორინგის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) სამინისტროს სამართლებრივი მომსახურების უზრუნველყოფა და ძირითადი სამართლებრივი მიმართულებების განსაზღვრა;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს უფლებამოსილებებს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება;

გ) სამინისტროში მომზადებული (შემოსული) სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზის (ვიზირების) უზრუნველყოფა;

დ) კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს მიერ გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება ან/და ვიზირება;

ე) სამინისტროს ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა სასამართლოში, არბიტრაჟსა და სხვა შესაბამის ორგანოში;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროში შემოსულ განცხადებებზე შესაბამისი

გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება;

ზ) სახელმწიფოსა (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებასთან და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებული ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი და კონტროლი;

თ) მინისტრის ცალკეული დავალებების, ასევე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

4. შიდა აუდიტის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

ბ) სამინისტროს აპარატის და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებსა და რეგულაციებთან შესაბამისობის შეფასება;

გ) სამინისტროს საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

დ) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;

ე) სამინისტროს აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

ვ) სამინისტროს სისტემაში სამსახურებრივი გადაცდომის ან/და სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმებისა და გამოვლენის მიზნით ინსპექტირების ჩატარება, ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მინისტრისათვის წარდგენა;

ზ) სამინისტროს სისტემაში სამსახურებრივი გადაცდომის ან/და სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების თაობაზე ინფორმაციის შემცველი განცხადებებისა და წერილების შესწავლის შედეგად დასკვნის მომზადება და მინისტრისათვის წარდგენა;

თ) სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებებისა და დაწესებულებების, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფუნქციონირების სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების გამოვლენა და სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვის კონტროლი;

ი) სამინისტროს მოსამსახურეების ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება;

კ) მინისტრის ცალკეული დავალებების, ასევე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

5. საბიუჯეტო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის მომზადება და ამ მიზნით საჭირო სამუშაოების ორგანიზება და შესრულება, საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტის მომზადება;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და კოორდინაცია;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის მიხედვით განსაზღვრული ასიგნებებისა და შემოსულობების პარამეტრების კვარტლების მიხედვით განწერის მომზადება;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ყოველკვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშის მომზადება;

ვ) რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსირებადი მხარჯავი დაწესებულებების მიერ პროგრამების შესრულების ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მიღება-დამუშავება;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევა;

თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების პროექტების მომზადების კოორდინაცია და შესაბამისი ბიუჯეტების შესრულებისა და ანგარიშების მიღება-დამუშავება;

ი) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციების მიხედვით ყოველკვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშის მიღება-დამუშავება და წარდგენა შესაბამის ორგანოში;

კ) მინისტრის ცალკეული დავალებების, ასევე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

6. ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე;

ბ) რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის/კონცეფციის შემუშავების პროცესში მონაწილეობა;

გ) ეკონომიკური კვლევების ჩატარება და შესაბამისი წინადადებებითა და რეკომენდაციებით ანგარიშების მომზადება;

დ) რეგიონში მოქმედი საბანკო-საფინანსო და არასაბანკო-საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ანალიზი და შეფასება;

ე) რეგიონში მიმდინარე საინვესტიციო საქმიანობის (კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების) შედეგების აღრიცხვა და შეფასება;

ვ) საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საგრანტო და სასესხო პროექტების შემუშავების მიზნით და აღნიშნული სტრუქტურების მიერ განხორციელებული რეგიონული ეკონომიკური პროექტების კოორდინაცია და მონიტორინგი;

ზ) შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა და კოორდინაცია ეკონომიკური განვითარების საკითხებთან დაკავშირებით;

თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ი) მინისტრის ცალკეული დავალებების, ასევე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

7. საინვესტიციო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა სხვადასხვა ინსტრუმენტებისა და ღონისძიებების

გამოყენებით;

ბ) არსებული და პოტენციური ინვესტორების ინფორმაციული უზრუნველყოფა;

გ) საინვესტიციო წინადადებების შემუშავება და პოტენციური ინვესტორებისათვის შეთავაზება;

დ) პირობებიანი ან უპირობო აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის/გადაცემის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის/გადაცემის ფორმით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მოძრავი ქონებისა) განკარგვის/სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით შემოსული საინვესტიციო ან/და საპრივატიზებო წინადადებების განხილვა და შესაბამისი პირობების მომზადება ან/და ქონების პირობების გარეშე პრივატიზების თაობაზე რეკომენდაციის მომზადება;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ საინვესტიციო ან/და საპრივატიზებო (პირობებით) პაკეტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის;

ე[1]) კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისას და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვისას თანხმობის გაცემისა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიების გატარება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადმოცემული ქონების, ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში უმკვიდრო/მიტოვებული ქონების კანონით დადგენილი წესით მიღება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვა ან/და დარეგისტრირება, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

ვ) დაინტერესებულ პირთათვის საპრივატიზებო ობიექტების დათვალიერების ორგანიზება;

ზ) მინისტრის ცალკეული დავალებების, ასევე, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

8. საწარმოთა მართვისა და ქონების პრივატიზების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/სახელმწიფოს (დელეგირების შემთხვევაში) საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით განკარგვის, სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვა/გადაცემასთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის წარსადგენი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებების განხილვა და სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება;

დ) ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ქონების შემძენთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით კომპეტენციის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიების გაცემის პროცესის ორგანიზება და შესაბამისი ღონისძიებების განხორცილება;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში პარტნიორის (აქციონერი) უფლებამოსილების განხორციელება და საწარმოების საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების თაობაზე წინადადებების მომზადება/განხილვა;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული წილების (აქციების) მართვის კოორდინაცია და სრულყოფა;

თ) მინისტრის ცალკეული დავალებების, ასევე, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

9. სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) სამინისტროს მიერ ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო საქმიანობის პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების დოკუმენტების შემუშავების პროცესში მონაწილეობა და ამ სფეროში წინადადებების მომზადება;

გ) სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება;

დ) უფლებამოსილი ორგანოების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა;

ე) კანონმდებლობის შესაბამისად მშენებლობის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების პროცედურების ორგანიზება და სამინისტროს მიერ ნებართვაგაცემული ობიექტების მშენებლობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება;

ვ) სამშენებლო სამართალდამრღვევთა მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების გატარება;

ზ) სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის გაცემის ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფა;

თ) ავარიის, უბედური შემთხვევის ან უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში ობიექტის სავალდებულო ინსპექტირება, დამრღვევისადმი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება;

ი) ობიექტების რეგისტრაციის უწყებრივი რეესტრის წარმოება;

კ) მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების დოკუმენტური კონტროლის, ინსპექტირების, აგრეთვე ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება;

ლ) მინისტრის ცალკეული დავალებების, ასევე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 24 თებერვლის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 27.02.2023წ.

მუხლი 8. მინისტრის მრჩევლები და თანაშემწეები

1. მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრის მრჩევლებსა და თანაშემწეებს.
2. მინისტრის მრჩევლები და თანაშემწეები უშუალოდ ექვემდებარებიან მინისტრს.

3. მინისტრის მრჩევლები და თანაშემწეები თანამდებობაზე ინიშნებიან მინისტრის უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 9. მინისტრის სათათბირო ორგანოები

1. მინისტრს უფლება აქვს თავის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების შესწავლისა და მომზადების მიზნით შექმნას სათათბირო ორგანოები – კომისიები და საბჭოები.
2. სათათბირო ორგანოს ამოცანებს, აგრეთვე მისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესს ამ ორგანოს შექმნისას განსაზღვრავს მინისტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

3. სათათბირო ორგანოს უფლება აქვს სახელმწიფო დაწესებულებებისაგან მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები.

4. სათათბირო ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები განსაზღვრულ ვადაში უნდა წარედგინოს მინისტრს.

5. პირი, რომელიც არ არის სახელმწიფო მოხელე, სათათბირო ორგანოს წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით.

მუხლი 10. სამინისტროს ქონება
სამინისტროს ქონებას შეადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით მის სარგებლობაში გადაცემული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, საფინანსო რესურსები, აგრეთვე სამინისტროს ბალანსზე/სარგებლობაში რიცხული ქონება.

მუხლი 11. სამინისტროს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი
სამინისტროს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი
დებულებაში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.